ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N06

2022 წლის 30 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) თანხმობა გადასცეს შპს „ოპტიმლაინს“ 2 (ორი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ სოფელ ხუცუბანსა და სოფელ გვარაში მდებარე 170 (ასსამოცდაათი) ერთეული გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის თაობაზე, მოსახლეობისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტისა და IP ტელევიზიის მიწოდების მიზნით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ ერთი ერთული ხაზოვანი ნაგებობის გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების რადიუსის (წერტილი) გამოყენებისათვის წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 0,50 ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი